ხელშეკრულება
ტექნიკის შესყიდვის შესახებ № 63/11ა

ქ. თბილისი "15" ივლისი 2011 წელი

შ.პ.ს. "ინტერტექნიკსი" (ს/კ: 200094334) შემდგომში "მიმწოდებელი" მისი ფინანსური მენეჯერის კახაბერ თეთრუაშვილის სახით ერთის მხრივ და სსიპ "ქ.თბილისის №130 საჯარო სკოლა" მისი დირექტორის ხათინა ნებიერიძის სახით შემდგომში "შემსყიდველი" მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი CPV- 39700000

1.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს ქვემოთ აღნიშნული საქონელი და გაუწიოს მომსახურეობა:

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის სარეალიზაციო ფასი
მაცივარი Daewoo FR-146RIX	1	350
ჯამი: 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი		

1.2. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს – **350 ლარს.**

3. საქონლის ხარისხი

3.1. საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და ექვემდებარებოდეს წინასწარ შეთანხმებულ სტანდარტებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. "მიმწოდებელი" თავად ახორციელებს საქონლის ტრანსპორტირებას.
4.2. მიწოდებულ საქონელს საჭიროა მოყვეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.
4.3. საქონლის მიწოდება უნდა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.
4.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია, "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულების სრულად ანაზღაურებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიაწოდოს "შემსყიდველს" კონტრაქტით განსაზღვრული საქონელი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს "შემსყიდველი"-ს მხრიდან დირექტორი ხ. ნებიერიძე (მიმღები მხარე), ხოლო "მიმწოდებლის" მხრიდან "ტექნო-ლუქსი"-ს მაღაზიის #6 კონსულტანტი თამარ კიკნაძე.
5.2. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ კანონმდებლობით დაგენილი წესით განსაზღვრული ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. 2.1. ქვეპუნქტში მითითებული თანხის ანაზღაურება ხდება წინასწარ საქონლის მიღებამდე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

--- ---